

გთავაზობთ კინგსის მატემატიკის ოლიმპიადის II ტურის ტესტების მიმოხილვას თითოეული კლასის მიხედვით.

მე-2 კლასის ტესტი შედგება 10 სავარჯიშოსაგან:

პირველი დავალება ეხება არითმეტიკული მოქმედებების შესრულებას.

მეორე სავარჯიშო მცდარი ტოლობის პოვნას მოითხოვს კინგსელისაგან.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა პირობაში აღწერილი რიცხვის პოვნა.

მეოთხე სავარჯიშოში მონაწილემ უნდა გამოთვალოს და შემდგომ ერთმანეთს შეადაროს ორი სხვადასხვა მაგალითის მნიშვნელობა.

მეხუთე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა იპოვნოს ის რიცხვი, რომელიც ჩამოთვლილ რიცხვებს შორის არც უდიდესია და არც უმცირესი.

მექვსე დავალებაში მონაწილემ პასუხებში უნდა იპოვნოს მოცემულ რიცხვზე უფრო დიდი რიცხვი.

მეშვიდე სავარჯიშოს მიზანია კინგსელმა გაარკვიოს, რა თანხა აკლდება ლევანს სასურველი ნივთების შესაძენად.

მერვე და მეცხრე დავალების ამოსახსნელად საჭიროა რამდენიმე თანმიმდევრული არითმეტიკული მოქმედების შესრულება.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად კინგსელს მიმდევრობის კანონზომიერების დადგენა სჭირდება.

მე-3 კლასის ტესტი 10 სავარჯიშოსაგან შედგება:

პირველი დავალება მიზნად ისახავს იმ გამოსახულების ამოხსნას, რომელიც ფრჩხილებს შეიცავს.

მეორე სავარჯიშოში კინგსელმა პირობაში მოცემული რიცხვი თანრიგის შესაკრებთა ჯამით უნდა წარმოადგინოს.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება.

მეოთხე სავარჯიშო მოითხოვს მცდარი უტოლობის აღმოჩენას.

მეხუთე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა შეასრულოს არითმეტიკული მოქმედებები და შედეგად იპოვნოს პირობაში დახსიათებული რიცხვი.

მეექვსე დავალებაში მონაწილემ პასუხებში უნდა იპოვნოს მოცემული რიცხვის ტოლი, ან მასზე უფრო დიდი რიცხვი.

მეშვიდე, მერვე და მეცხრე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია რამდენიმე თანმიმდევრული არითმეტიკული მოქმედების შესრულება.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად კინგსელს მიმდევრობის კანონზომიერების დადგენა სჭირდება.

მე-4 კლასის ტესტი 10 სავარჯიშოსაგან შედგება:

პირველი დავალება მიზნად ისახავს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულებას.

მეორე სავარჯიშოში მონაწილემ ის გამოსახულება უნდა ამოხსნას, რომელიც ფრჩხილებს შეიცავს.

მესამე დავალების შესასრულებლად კინგსელს უნდა შეეძლოს პირობაში მოცემული რიცხვის თანრიგის შესაკრებთა ჯამით წარმოდგენა.

მეოთხე სავარჯიშო მოითხოვს შემოთავაზებული ვარიანტებიდან მართებული უტოლობის აღმოჩენას.

მეხუთე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა შეასრულოს არითმეტიკული მოქმედებები და შედეგად იპოვნოს ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე პასუხი.

მეექვსე დავალების შესასრულებლად მონაწილეს უნდა შეეძლოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება.

მეშვიდე და მერვე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია რამდენიმე თანმიმდევრული არითმეტიკული მოქმედების შესრულება.

მეცხრე დავალების შესასრულებლად მონაწილეს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა სივრცითი ფიგურების შესახებ.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად კინგსელს მიმდევრობის კანონზომიერების დადგენა სჭირდება.

მე-5 კლასის ტესტი შედგება 10 სავარჯიშოსაგან:

პირველი დავალება მიზნად ისახავს იმ გამოსახულების ამოხსნას, რომელიც ფრჩხილებს შეიცავს.

მეორე სავარჯიშოში საჭიროა მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება.

მესამე და მეხუთე დავალების შესასრულებლად სავარჯიშოში კინგელმა უნდა შეასრულოს არითმეტიკული მოქმედებები და შედეგად იპოვოს პირობაში დახსიათებული რიცხვი.

მეოთხე სავარჯიშო მოითხოვს მართებული უტოლობის აღმოჩენას.

მეექვსე დავალებაში მონაწილემ უნდა დაადგინოს კონკრეტული რიცხვების გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი.

მეშვიდე და მერვე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია რამდენიმე თანმიმდევრული არითმეტიკული მოქმედების შესრულება უცნობის შემოტანით.

მეცხრე დავალების შესასრულებლად საჭიროა გაყოფის დროს ნაშთის პოვნის უნარი.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის, ხდომილობის განხილვა და მათ შორის სასურველის შერჩევა.

მე-6 კლასის ტესტი 10 სავარჯიშოსაგან შედგება:

პირველი დავალება ეხება არითმეტიკული მოქმედებების შესრულებით მიღებული შედეგის ბოლო ციფრის პოვნას.

მეორე და მეხუთე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის განხილვა და მათ შორის სასურველის შერჩევა.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა კინგელს ჰქონდეს საკმარისი ცოდნა უსასრულო პერიოდული ათწილადების შესახებ.

მეოთხე სავარჯიშოში მონაწილემ ერთმანეთს უნდა შეადაროს წილადების მნიშვნელობა.

მეექვსე დავალებაში მონაწილემ ერთნაირი დაბოლოების მქონე რიცხვების რაოდენობა უნდა დაითვალოს რიცხვთა გარკვეულ შუალედში.

მეშვიდე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია ცხრაზე გაყოფადობის ნიშნების ცოდნა.

მერვე დავალების ამოსახსნელად საჭიროა რამდენიმე თანმიმდევრული არითმეტიკული მოქმედების შესრულება უცნობით.

მეცხრე დავალების შესასრულებლად კინგსელი კარგად უნდა იცნობდეს წრეს.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია განტოლების ამოხსნა.

მე-7 კლასის ტესტი 10 სავარჯიშოსაგან შედგება:

პირველი დავალება ეხება არითმეტიკული მოქმედებების შესრულებით მიღებული შედეგის ბოლო ციფრის პოვნას.

მეორე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია ორი რიცხვის საერთო ჯერადების რაოდენობის პოვნა რიხვთა წინასწარ განსაზღვრულ შუალედში.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა მოდულიანი უტოლობის შესაძლო ამონახსნთა რაოდენობის განსაზღვრა.

მეოთხე და მეშვიდე სავარჯიშოში მონაწილემ სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი უნდა განიხილოს და მათ შორის სასურველი უნდა შეარჩიოს.

მექვსე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია სამზე გაყოფადობის ნიშნების ცოდნა.

მერვე დავალების ამოსახსნელად საჭიროა რამდენიმე სხვადასხვა ხდომილობის განსაზღვრა.

მეცხრე დავალების შესასრულებლად კინგსელი კარგად უნდა იცნობდეს პირამიდას.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია მონაწილეს ჰქონდეს ცოდნა სიბრტყეების შესახებ.

მე-8 კლასის ტესტში 10 სავარჯიშოა.

პირველი დავალება ეხება არითმეტიკული მოქმედებების შესრულებით მიღებული შესაძლო ნაშთების განსაზღვრას.

მეორე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია ორი რიცხვის საერთო გამყოფების ჯამის პოვნა.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა მოდულიანი უტოლობის შესაძლო ამონახსნთა რაოდენობის განსაზღვრა.

მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე სავარჯიშოში მონაწილემ სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი უნდა განიხილოს და მათ შორის სასურველი უნდა შეარჩიოს.

მეექვსე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია კინგსელს შეეძლოს რვის ჯერადების განსაზღვრა.

მერვე დავალების ამოსახსნელად საჭიროა მონაწილეს ჰქონდეს ცოდნა სიბრტყეებსა და მათზე აღებულ წერტილებზე.

მეცხრე დავალება სამკუთხედსა და მის გვერდებს ეხება.

მეათე სავარჯიშო სიბრტყის გეომეტრიული ფიგურებით დაყოფას ეხება.

მე-9 კლასის ტესტში 10 სავარჯიშოა:

პირველ დავალებაში საჭიროა 9-ზე გაყოფადობის ნიშნების ცოდნა და არითმეტიკული მოქმედებების ჩატარება.

მეორე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია ორი რიცხვის უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა.

მესამე დავალებაში კინგსელმა მოცემულ უტოლობაზე დაყრდნობით უნდა შეძლოს სხვა მართებული უტოლობის აღმოჩენა პასუხებში.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის, ხდომილობის განხილვა და მათ შორის სასურველის შერჩევა.

მეშვიდე დავალება მიზნად ისახავს წილადებზე არსებული ცოდნით პასუხის მიღებას.

მეცხრე სავარჯიშო ეხება სამკუთხედსა და მის ფართობს.

მეათე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია %-ებისა და მართკუთხედის შესახებ სათანადო ცოდნა.

მე-10 კლასის ტესტში 10 სავარჯიშოა:

პირველი დავალება მიზნად ისახავს მოცემული გამოსახულებების ამოხსნას და მიღებულ ამონახსნებს შორის ნატურალური რიცხვის პოვნას.

მეორე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა დაადგინოს რა თვისება გააჩნიათ კონკრეტული რიცხვების შეკრებით მიღებულ ჯამებს.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება.

მეოთხე სავარჯიშო ეხება ხდომილებებს.

მეხუთე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა შეასრულოს არითმეტიკული მოქმედებები უცნობის დახმარებით.

მექვსე დავალებაში მონაწილემ უნდა დაადგინოს, თუ რა დღე იქნება კონკრეტული თარიღის დადგომის დროს.

მეშვიდე და მერვე დავალება სიბრტყეებს -მათ აგებასა და თანაკვეთას შეეხება.

მეცხრე და მათე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის, ხდომილობის განხილვა და მათ შორის სასურველის შერჩევა.

მე-11 კლასის ტესტი 10 სავარჯიშოსგან შედგება:

პირველი დავალება მიზნად ისახავს მოცემული გამოსახულებების ამოხსნას და მიღებულ ამონახსნებს შორის ნატურალური რიცხვის პოვნას.

მეორე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა დაადგინოს რა თვისება გააჩნიათ კონკრეტული რიცხვების შეკრებით მიღებულ ჯამებს.

მესამე დავალების შესასრულებლად საჭიროა მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება.

მეოთხე სავარჯიშო ეხება ხდომილებებს.

მეხუთე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა შეასრულოს არითმეტიკული მოქმედებები უცნობის დახმარებით.

მექვსე დავალებაში მონაწილემ უნდა დაადგინოს, თუ რა დღე იქნება კონკრეტული თარიღის დადგომის დროს.

მეშვიდე დავალება შეეხება პრიზმას.

მერვე დავალება სიბრტყეებსა და წრფეებს შეეხება.

მეცხრე სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის, ხდომილობის განხილვა.

მეათე დავალებაში კინგსელმა მოცემულ დებულებებზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს დასკვნა.

მე-12 კლასის ტესტი 10 სავარჯიშოსგან შედგება:

პირველი დავალება მიზნად ისახავს მოცემული გამოსახულებების ამოხსნას და მიღებულ ამონახსნებს შორის ირაციონალური რიცხვის პოვნას.

მეორე სავარჯიშოში კინგსელმა უნდა დაადგინოს რა თვისება გააჩნიათ კონკრეტული რიცხვების შეკრებით მიღებულ ჯამებს.

მესამე და მეექვსე დავალების შესასრულებლად საჭიროა მოცემული არითმეტიკული მოქმედებების შესრულების შედეგად მიღებული უდიდესი შესაძლო რიცხვის განსაზღვრა.

მეოთხე სავარჯიშო ეხება ალბათობას.

მეხუთე სავარჯიშო არითმეტიკული პროგრესიის შესახებაა.

მეშვიდე დავალება შეეხება ამოზნექილი მრავალწახნაგის წახნაგების რაოდენობას.

მერვე დავალება სფეროს შეეხება.

მეცხრე სავარჯიშოს შესასრულებლად კინგსელმა მოცემულ დებულებებზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს დასკვნა.

მეათე დავალებაში აუცილებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის, ხდომილობის განხილვა.